

კავკასიის უნივერსიტეტი



საბაკალავრო პროგრამა

გრაფიკული დიზაინი



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა



საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	გრაფიკული დიზაინი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Graphic Design
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი	
ქართულად:	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში, 0211
ინგლისურად:	Bachelor of Fine Arts in Graphic Design, 0211
პროგრამის დამტკიცების თარიღი	
	2021 წლის 7 დეკემბერი
პროგრამის ხელმძღვანელი	
	ასოცირებული პროფესორი გიორგი ნიკუტაძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის სახელოვნებო-შემოქმედებითი პროგრამა, რომელიც მოიცავს 180 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, სტუდენტის როგორც საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო).</p> <p>პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის აქტიური სტატუსის შენარჩუნებით.</p> <p>პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებად:</p> <p><u>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (125 კრედიტი):</u></p> <ul style="list-style-type: none"> - სავალდებულო სასწავლო კურსები - 109 კრედიტი; - არჩევითი სასწავლო კურსები - 16 კრედიტი. <p><u>თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (55 კრედიტი):</u></p> <ul style="list-style-type: none"> - საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; - საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; - თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<ul style="list-style-type: none"> • გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. • პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. 	

- აბიტურიენტები, რომლებსაც სურთ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე გაივლიან შემოქმედებით ტურს/კონკურსს უნივერსიტეტში დადგენილი წესით, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №19/ნ-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ფართო ცოდნა, რაც თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს გრაფიკული დიზაინის, ხელოვნების და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებული, ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება გრაფიკულ დიზაინში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
- მოაწადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ხელოვნებისა და გრაფიკული დიზაინის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს ციფრული ხელოვნების და გრაფიკული დიზაინის ძირითად კონცეფციებს. გრაფიკული დიზაინის პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.
- ანალიზებს გრაფიკული დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით ქმნის ტექნიკური დავალების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქტების დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააქვს ის საბოლოო პროდუქტზე.
- გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და ანვითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებ-სთვის, აპლიკაციებისათვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ გრაფიკულ კომპონენტებს.
- პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში.
- პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული პროგრამების და მათი შესაბამისი კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს, მათ შორის სამგანზომილებიან და აუგმენტურ რეალობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს.
- იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზების საშუალებასთან.
- აფასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან დაკავშირებულ ღირებულებებს, შემოქმედებით ხედვას, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორცაა: გრაფიკული დიზაინერი, ვებ-დიზაინერი, მოუშენ გრაფიკოსი, ილუსტრაციის და ანიმაციის სპეციალისტები, და სხვა მომიჯნავე პოზიციები.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში: სარეკლამო სააგენტო, ტელევიზია, სტამბა, პრინტ ოფისი, ვებ-სტუდია, კერძო ბიზნესი, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სხვა.. ასევე აღსანიშნავია რომ საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს ორგანიზაციები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, ვებ-დეველოპერები და სხვა.

სწავლის გაგრძელების საშუალება

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ სამაგისტრო პროგრამებისა, რომელთა აუცილებელი მოთხოვნაა საბაკალავრო დიპლომის ფლობა იგივე სპეციალობაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) მაღიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- დისკუსია/დებატები

- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning)
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- სწავლების დედუქციური მეთოდი,
- ანალიზის მეთოდი,
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება 25 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, 5 პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული პროფესორი), 1 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი) და 17 მოწვეული ლექტორი. რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად, უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო შიდა რესურსის გარდა, მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, საჯარო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები.

კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მემორანდუმების ფარგლებში პარტნიორი საჯარო და კერძო ორგანიზაციებია:

- შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი;
- სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი;
- შპს ომედია;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- EY;
- შპს იმობილიარე;
- სილქნეტი;
- UGT;
- Orient Logic;
- შპს „MyGPS“;
- შპს „ZETEN“;
- ინსტიტუტი „ოპტიკა“;
- შპს „გურამექსი“;
- იუსტიციის სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- თბილისის მერია.

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს და მემორანდუმები აქვს გაფორმებული ტექნოლოგიების მიმართულებით შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- Tallinn University of Technology;
- Riga Technical University;
- Upper Austria University of Applied Sciences (Hagenberg);
- University of Southern Denmark;
- Fairleigh Dickinson University;
- Kaunas University Of Technology;
- Ming Chuan University of Taiwan;
- Universidad Autonoma de Gvadalajara, Mexico;
- IESB, Brasilia Higher Education Institute, Brazil.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, სათანადოდ აღჭურვილი ელექტრონიკის და კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას.

ბიბლიოთეკა - ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 21524 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკანები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- [EBSCO HOST](#)
- [ScienceDirect](#)
- [Scopus](#)
- [Sci-val Funding\(Funding Institutional\)](#)
- [HeinOnline](#)
- [Taylor and Francis](#)
- [Math Scientific Publishing \(MSP\)-Journals](#)

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Aruba/HP“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა),
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო „ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება.

პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანებით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი						ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
ზოგადი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	CIS 1140		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	x						5
2.	ENGL 0007		B2.0 ზოგადი ინგლისური	x						5
3.	ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური		x					5
4.	ACWR 0007		აკადემიური წერა			x				5
ზოგადი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები										
5.	HIST 0003		საქართველოს ისტორია	10 ECTS						5
6.	ENGL 0005		B1.0 ზოგადი ინგლისური ¹							
7.	ENGL 0006	ENGL 0005	B1 ზოგადი ინგლისური ¹							
8.	PHIL 0005		ფილოსოფია							
9.	SOCI 0004		სოციოლოგია							5
10.	HIST 0001		მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი			10 ECTS				5
11.	PSYC 0006		ფსიქოლოგია							
12.	POLS 0002		პოლიტოლოგია							
13.	ENGL 0009	ENGL 0008	C1.0 ზოგადი ინგლისური							
14.	ENGL 0010	ENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური							5
დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები										
15.	GD 1141		ვექტორული გრაფიკა I	x						5
16.	GD 1142		ხატვა	x						5
17.	ARCH 1141		ხაზვა	x						5
18.	GD 1143		გრაფიკული დიზაინის საფუძვლები	x						5
19.	GD 1241		ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება		x					5
20.	GD 1242		კრეატიული აზროვნების ტექნიკა		x					5
21.	GD 1243	GD 1141	ვექტორული გრაფიკა II		x					5

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი						ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
22.	GD 2144		კომპოზიცია			x				5
23.	GD 2141		სამგანზომილებიანი გრაფიკა I			x				5
24.	GD 2241	GD 2141	სამგანზომილებიანი გრაფიკა II				x			5
25.	GD 2142	GD 1141	საგამომცემლო საქმიანობის დიზაინი (ინდიზაინი)			x				5
26.	GD 3141	GD 2241	სამგანზომილებიანი გრაფიკა III					x		5
27.	GD 2143	GD 1141	ილუსტრაცია			x				5
28.	GD 3142	GD 1243	მოუშენ გრაფიკა					x		5
29.	GD 2242	GD 1143	რასტრული გრაფიკა I				x			5
30.	IND 2240	GD 1142	ინტერიერის დიზაინი I				x			5
31.	GD 3143	GD 2242	რასტრული გრაფიკა II					x		5
32.	GD 3241	GD 3141	სამგანზომილებიანი გრაფიკა IV						x	6
33.	GD 3242	GD 2242	პერსონაჟის ანიმირება						x	6
34.	GD 3243		სადიპლომო პროექტი						x	12
დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები										
35.	ARCH 1244	ARCH 1141	კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD			10 ECTS				5
36.	ARCH 2143	ARCH 1141	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD							5
37.	COMM 2131		ფოტოგრაფია							
38.	IND 3140	IND 2240	ინტერიერის დიზაინი II							5
39.	DMK 3140		ციფრული მარკეტინგი						x	6
40.	CTC 3241		სამომხმარებლო ინტერფეისები							6
41.			თავისუფალი კრედიტი ²			x				20
ECTS კრედიტები			წელიწადში	60	60	60				
			საგნების რაოდენობა წელიწადში	12	12	12				
შენიშვნა:										

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სასწავლო წელი						ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
<p>¹ B1 დონის ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსებს შეისწავლიან B2 დონისთვის არასაკმარისი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>² სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს საგნები (15 ECTS კრედიტი) უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან.</p>										

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/სთ	ლექცია / პრაქტიკული	სემინარი	შუალედური და დაცვებითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5/125	19	5	4	2	95
2.	აკადემიური წერა	5/125	21	3	4	2	95
3.	B1.0 ზოგადი ინგლისური	5/125	53	9	4	2	57
4.	B1 ზოგადი ინგლისური	5/125	53	9	4	2	57
5.	B2.0 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
6.	B2 ზოგადი ინგლისური	5/125	57	3	5	3	57
7.	C1.0 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
8.	C1 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
9.	მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი	5/125	14	10	4	2	95
10.	პოლიტოლოგია	5/125	17	7	4	2	95
11.	საქართველოს ისტორია	5/125	19	5	4	2	95
12.	სოციოლოგია	5/125	20	4	4	2	95
13.	ფილოსოფია	5/125	17	7	4	2	95
14.	ფსიქოლოგია	5/125	18	4	4	4	95
15.	ვექტორული გრაფიკა I	5/125	21	3	4	2	95
16.	ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება	5/125	21	3	4	2	95
17.	ხაზვა	5/125	26		4		95
18.	ხატვა	5/125	26		4		95
19.	კრეატიული აზროვნების ტექნიკა	5/125	21	3	4	2	95
20.	ვექტორული გრაფიკა II	5/125	21	3	4	2	95
21.	კომპოზიცია	5/125	21		4	5	95
22.	სამგანზომილებიანი გრაფიკა I	5/125	22	2	4	2	95
23.	სამგანზომილებიანი გრაფიკა II	5/125	22	2	4	2	95
24.	გრაფიკული დიზაინის საფუძვლები	5/125	21	3	4	2	95
25.	საგამომცემლო საქმიანობის დიზაინი (ინდიზაინი)	5/125	21	3	4	2	95
26.	სამგანზომილებიანი გრაფიკა III	5/125	22	2	4	2	95
27.	ილუსტრაცია	5/125	21	3	4	2	95
28.	მოუშენ გრაფიკა	5/125	21	3	4	2	95
29.	რასტრული გრაფიკა I	5/125	21	3	4	2	95
30.	ინტერიერის დიზაინი I	5/125	26		4		95
31.	ინტერიერის დიზაინი II	5/125	26		4		95
32.	რასტრული გრაფიკა II	5/125	21	3	4	2	95
33.	სამგანზომილებიანი გრაფიკა IV	6/150	22	2	4	2	120
34.	პერსონაჟის ანიმირება	6/150	21	3	4	2	120

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/ სთ	ლექცია / პრაქტიკული	სემინარი	შუალედური და დასკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა
35	კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD	5/125	26		4		95
36	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD	5/125	24	6	4	2	95
37	ფოტოგრაფია	5/125	18	7	4	1	95
38	ციფრული მარკეტინგი	6/150	19	5	4	2	120
39	სამომხმარებლო ინტერფეისები	6/150	19	5	4	2	120
40	სადიპლომო პროექტი	12/300	14				286

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	სემესტრი	კოდი	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგები						
				აანალიზებს და იყენებს გრაფიკული დიზაინის თანამედროვე აპარატურულ და პროგრამული უზრუნველყოფას, სვეროში არსებული ტენდენციების და სიახლეების გათვალისწინებით	აანალიზებს გრაფიკული დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით ქმნის ტექნიკური დავალებების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქციის დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააკვს ის საბოლოო პროდუქტზე.	გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და აწვითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებბრაუზინგის, აპლიკაციებისთვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შექმნაზე გრაფიკულ კომპონენტებს.	პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საკმარისობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში	პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული დიზაინის შესაბამის კომპიუტერული სისტემების რეზოლუციის პრინციპებს, უახლეს მიდგომებს და ტექნოლოგიურ საშუალებებს.	იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლების და სახელოვნობა-შემოქმედებითი ინტელექტუალური დამახასიათებელი მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული	ააფასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან და ციფრულ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.
1.	I	CIS 1140	საოფისე კომპიუტერული პროგრამები						X	X
2.	I	ENGL 0007	B2.0 ზოგადი ინგლისური						X	X
3.	II	ENGL 0008	B2 ზოგადი ინგლისური						X	X
4.	III	ACWR 0007	აკადემიური წერა						X	X
5.	I	GD 1141	ვექტორული გრაფიკა I	X				X		
6.	II	GD 1241	ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება	X						X
7.	I	ARCH 1141	ხაზვა		X					
8.	I	GD 1142	ხატვა	X					X	
9.	II	GD 1242	კრეატიული აზროვნების ტექნიკა	X						
10.	II	GD 1243	ვექტორული გრაფიკა II	X						X
11.	III	GD 2144	კომპოზიცია	X						
12.	III	GD 2141	სამგანზომილებიანი გრაფიკა I		X					
13.	IV	GD 2241	სამგანზომილებიანი გრაფიკა II			X				
14.	I	GD 1143	გრაფიკული დიზაინის საფუძვლები		X			X		X

№	სემესტრი	კოდი	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგები						
				ანალიზებს და იყენებს გრაფიკული დიზაინის თანამედროვე აპარატურულ და პროგრამული უზრუნველყოფას, სფეროში არსებულ ტენდენციებს და სიახლეების გათვალისწინებით	ანალიზებს გარეგანი დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით კმნის ტექნიკური დავალების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქტების დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააქვს ის საბოლოო პროდუქტზე.	გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და ანეითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებისთვის, აპლიკაციებისთვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ გრაფიკულ კომპონენტებს.	პროგრამის დისკოპლინთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში	პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული დიზაინის შესაბამის კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს.	იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული აავასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან და ციფრულ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.	
15.	III	GD 2142	საგამომცემლო საქმიანობის დიზაინი (ინდიზაინი)		X				X	
16.	V	GD 3141	სამგანზომილებიანი გრაფიკა III			X				
17.	III	GD 2143	ილუსტრაცია					X		
18.	V	GD 3142	მოუმუნ გრაფიკა				X			X
19.	IV	GD 2242	რასტრული გრაფიკა I				X			
20.	IV	ARCH 3245	ინტერიერის დიზაინი					X		
21.	V	GD 3143	რასტრული გრაფიკა II					X		
22.	VI	GD 3241	სამგანზომილებიანი გრაფიკა IV		X		X			
23.	VI	GD 3242	პერსონაჟის ანიმირება						X	
24.	VI	GD 3243	სადიპლომო პროექტი		X			X	X	X

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

<p>პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ფართო ცოდნა, რაც პრაქტიკული ხასიათის პროგრამებით მოამზადებს მას მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის</p>	<p>სტუდენტმა მიიღოს გრაფიკული დიზაინის, სამგანზომილებიანი გრაფიკის, ილუსტრაციის და ციფრული ხელოვნების მეცნიერებების ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება გრაფიკულ დიზაინში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში</p>	<p>მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ხელოვნებისა და გრაფიკული დიზაინის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის.</p>
<p>აღწერს გრაფიკული დიზაინის მეცნიერების ძირითად კონცეფციებს. ციფრული ხელოვნების ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.</p>	<p>X</p>	<p>X</p>	<p>X</p>
<p>აანალიზებს გრაფიკული დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით ქმნის ტექნიკური დავალების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქციის დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააქვს ის საბოლოო პროდუქტზე.</p>		<p>X</p>	<p>X</p>
<p>გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და ანვითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებისთვის, აპლიკაციებისათვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ გრაფიკულ კომპონენტებს.</p>		<p>X</p>	<p>X</p>
<p>პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში.</p>		<p>X</p>	<p>X</p>
<p>პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული პროგრამების უახლეს პაკეტებს და ტექნოლოგიურ საშუალებებს.</p>		<p>X</p>	<p>X</p>
<p>იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის</p>	<p>X</p>	<p>X</p>	<p>X</p>

შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზების საშუალებასთან.			
აფასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.	X	X	

გრაფიკული დიზაინის დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა

დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამის დასახელება: გრაფიკული დიზაინი / Graphic Design

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 45 ECTS კრედიტი (35 ECTS - სავალდებულო სასწავლო კურსები, 10 ECTS – არჩევითი სასწავლო კურსები)

პროგრამის მიზანი: გრაფიკული დიზაინის დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამის მიზანია, სტუდენტს, ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მისცეს საბაზისო ცოდნა და უნარები გრაფიკულ დიზაინში, განუვითაროს შემოქმედებითი და კრეატიული უნარები, შეასწავლოს გრაფიკული დიზაინერისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის საბაზისო პაკეტი. პროგრამა დასაქმების სფეროს გაუფართოვებს როგორც ტექნოლოგიების სკოლის, ასევე სხვა სკოლის საბაკალავრო პროგრამების გარკვეული სპეციალობის კურსდამთავრებულებს, საშუალებას მისცემს მათ დასაქმდეს შესაბამის სპეციალისტის ხელმძღვანელობით გრაფიკული დიზაინის პრაქტიკულ სამუშაოზე, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მის ძირითად სპეციალობასთან დაკავშირებით შეასრულოს გრაფიკული დიზაინის პროგრამული ინსტრუმენტებით შესასრულებელი მარტივი სამუშაოები.

სწავლის შედეგები: გრაფიკული დიზაინის დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს გრაფიკული დიზაინის საბაზისო კონცეფციებს.
- აანალიზებს გრაფიკული დიზაინის კანონზომიერებებს, რის შედეგადაც ქმნის უნიკალურ შემოქმედებით პროდუქტებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის თუ სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.
- იყენებს გრაფიკული დიზაინერისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის საბაზისო პაკეტებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: გრაფიკული დიზაინის დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამაზე სტუდენტი მიიღება წინაპირობის გარეშე.

#	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	ECTS კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS							
1	GD 1141		ვექტორული გრაფიკა I	x			5
2	GD 1142		ხატვა	x			5
3	GD 1143		გრაფიკული დიზაინის საფუძვლები	x			5
4	GD 2141		სამგანზომილებიანი გრაფიკა I	x			5
5	GD 2241	GD 2141	სამგანზომილებიანი გრაფიკა II		x		5
6	GD 1243	GD 1141	ვექტორული გრაფიკა II		x		5
7	GD 2242	GD 1143	რასტრული გრაფიკა I			x	5
არჩევითი სასწავლო კურსები							
8	GD 1241		ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება	10 ECTS			5
9	GD 1242		კრეატიული აზროვნების ტექნიკა				5
10	GD 2142	GD 1141	საგამომცემლო საქმიანობის დიზაინი (ინდიზაინი)				5
11	GD 2143	GD 1141	ილუსტრაცია				5
12	IND2240	GD 1142	ინტერიერის დიზაინი I				5
13	IND3140	IND 2240	ინტერიერის დიზაინი II				5
							45